



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2016 წლის 24 თებერვლის
 № 1933 დადგენილებით

მოდირიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 21 აპრილის
 №2393 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

| |
|----------|
| თეოლოგია |
| Theology |

ფაკულტეტი

| |
|--|
| საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა |
| Engineering Economics and Social Science media technologies |

პროგრამის ხელმძღვანელი

| |
|--|
| პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე |
|--|

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

| |
|--|
| თეოლოგიის დოქტორი (Doctor in Theology) <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i> |
|--|

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

| |
|-------------|
| 180 კრედიტი |
|-------------|

სწავლების ენა

| |
|---------|
| ქართული |
|---------|

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამეცნიერო კვლევების უნარების მქონე დოქტორის მომზადება თეოლოგიის დარგში. თეოლოგიის პროგრამა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით მოემსახურება სტუდენტთა მომზადებას აკადემიური უნარ-ჩვევების შესამუშავებლად. თეოლოგიის პროგრამა იძლევა სპეციალურ აკადემიურ ცოდნას რელიგიაზე, რელიგიურ მოძღვრებაზე, ისტორიაზე და ტრადიციებზე. პროგრამის მიზანია მეცნიერულ დონეზე დოქტორის მომზადება თეოლოგიური მეცნიერების კვლევებში; მსოფლიო კულტურისა და ღვთისმეტყველების დამფუძნებელთა შემოქმედების მეცნიერული ცოდნა; თეოლოგიური სკოლების და წმინდა მამათა მსოფლმხედველობის მეცნიერული გააზრება. პროგრამით გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულის მიმართულებით მაღალპროფესიული აკადემიური კადრის მომზადება თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებით, რომელთაც შეეძლება დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა და დარგის სწავლება სხვადასხვა დონის ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს: სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი.

პირველი წლის სასწავლო პროცესი (ორი სემესტრის 21-21 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: ორი კვირა, კერძოდ VII და XIV, შუალედურ გამოცდებს ეთმობა. ესე იგი სწავლება და ორი შუალედური შეფასება ხორციელდება 17 კვირის განმავლობაში (I-XVII კვირა). XVIII-დან XXI კვირის ჩათვლით ხორციელდება დასკვნითი და დამატებითი გამოცდები (დამატებითი გამოცდები ტარდება მხოლოდ დასკვნითი გამოცდიდან 5 დღის შედეგ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა ვერ მიიღო 51 ქულა და საგანი არ ჩაეთვალა ჩაბარებულად, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია დაგროვილი ჰქონდეს 41 ქულა, რათა შეძლოს დამატებით გამოცდაზე გასვლა).

ამავე წელს დოქტორანტი ამზადებს ორი თემატურ სემინარს 1(15 კრედიტი). თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

მეორე წლის სასწავლო პროცესი: სწავლების მეორე წელს დოქტორანტი ამზადებს ორ - თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას -1 (15 კრედიტი) და თეორიული/ექსპერიმენტულ კვლევას -2 (15 კრედიტი). თეორიული/ექსპერიმენტულ კვლევის შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ 5 კომპონენტის საფუძველზე. ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით.

მესამე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა თეორიული/ექსპერიმენტულ კვლევას -3 (15 კრედიტი) და კოლოკვიუმი-3 (15 კრედიტი). კოლოკვიუმი ფასდება 6 კრიტერიუმის საფუძველზე. მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

დისერტაციის დასრულება და დაცვა (30კრედიტი) ფასდება მაქსიმალური 100 ქულით. დისერტაციას და მის საჯარო დაცვას აფასებს 7-9 კაცისაგან შემდგარი სადისერტაციო კოლეგია. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომის მქონე პირი; მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე. უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ან რუსული). დოქტორანტობის მაძიებელმა უნდა გაიაროს ტესტირება, ან წარმოადგინოს შესაბამისი დონის უცხო ენის სერთიფიკატი. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

- დოქტორი შეძლებს საკვლევი სამეცნიერო პრობლემის გამოკვეთას და დასაბუთებას.
- მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრას.
- კვლევის ობიექტთან დაკავშირებული მულტიდისციპლინური ინფორმაციის ანალიზს და სინთეზს.
- თეოლოგიის კვლევის სფეროში მიმდინარე პროცესების ფუნდამენტურ და სისტემურ ცოდნას, რომლის გაფართოება-გაღრმავება ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე)
- აკუმულირებული ცოდნის კრიტიკული გააზრებას და ამ გზით მისი განახლებული ინფორმაციის გაცნობიერებას.
- თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერებას და მის საფუძველზე რელიგიაში მიმდინარე პროცესის ანალიზს.
- მეცნიერული, პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნას და გათავისებას.
- დოქტორი ღრმად ერკვევა რელიგიათა მოძღვრებების მსოფლმხედველობაში (ღვთისმეტყველებაში), მის წარმოშობა-განვითარების ისტორიულ პროცესებში, ძირითად სამეცნიერო კონცეფციებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- თეოლოგიის კვლევის სფეროში ახალი ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავება და მეცნიერულ საქმიანობაში გამოყენება;
- ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი შედეგების მოპოვება და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა.
- საკვლევი პრობლემის ინტერპრეტირება ფართო კულტურულ კონტექსტში.
- თეოლოგიური ტექსტების სტრუქტურისა და ტიპოლოგიის ღრმა ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივი გამოყენება.
- სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე ახალი თუ ადეკვატური მეთოდოლოგიის შემუშავება.
- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის ხერხებით ოპერირება

დასკვნის უნარი

- დამოუკიდებელი სამეცნიერო იდეის ჩამოყალიბების უნარი.
- თეოლოგიური კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა
- თეოლოგიის კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზების დადგენა.
- თეოლოგიის დარგში საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზაზე ადეკვატურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული დასკვნითი სამეცნიერო დებულების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

- პოლიეთნიკურ და მულტიკონფესიურ საზოგადოებაში განსხვავებული კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია.
- დოქტორის ხარისხის მქონეს უნარი შესწევს მოახდინოს სამეცნიერო კვლევითი შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.
- დარგში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-არგუმენტირებულად და გარკვევით წარმოჩენა
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა.

სწავლის უნარი

- თეოლოგიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი სამეცნიერო იდეების, ტენდენციების განვითარებისათვის ახალი ცოდნის

დაგროვების საჭიროების გააზრება და დაგეგმვა.

- სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობისას სათანადო პროცესის განვითარების განჭვრეტა.

ღირებულებები

- რელიგიური მსოფლმხედველობების შესწავლისა და დაცვის სფეროში უახლეს აკადემიურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების და მიდგომების განვითარების ხელშეწყობა
- დოქტორი დაუფლებულია სრულ ცოდნას თეოლოგიის დარგში, ტოლერანტობას განსხვავებული კონფესიებისადმი, რის გამოც ის მომზადებულია საზოგადოებაში რელიგიის როლის განსაზღვრისათვის.
- პლაგიატის, მეცნიერული წყრობის ხელყოფის, მკვლევართა პიროვნების შეურაცხყოფის გამოვლენისადმი უკიდურესად კრიტიკული დამოკიდებულება
- თეოლოგიური მეცნიერების ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება და საამისოდ ინოვაციური მეთოდების შემუშავება
- რელიგიური მსოფლმხედველობის დაცვის სფეროში პროფესიული ღირებულებების პოპულარიზაცია.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია პრაქტიკული სემინარი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა
 კვლევითი კომპონენტი სასემინარო ნაშრომი სადოქტორო დისერტაცია კონსულტაცია

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)

სწავლების მეთოდები:

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
3. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
4. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
5. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
6. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა,

საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

7. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

8. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, პედაგოგიურს პრაქტიკას, კვლევით მუშაობას და სხვ.

9. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

10. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

სტუდენტის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის

ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადაძაბვითი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

თეოლოგიის დოქტორს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს რელიგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში; ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლებში; შეეძლება იმუშაოს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საპატრიარქოსა და ტელევიზიაში; ბიბლიოთეკებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

(იხ. დანართი)

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ცენტრები, კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე (<http://www.gtu.ge/Library/>) განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი აკადემიური პერსონალი:

1. პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.
2. პროფესორი, თემურ ჯაგოდნიშვილი - სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნოლოგიებსა და სწავლების მეთოდოლოგიაში
3. ასოცირებული პროფესორი, ქეთევან პავლიაშვილი - ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ეკლესიის ისტორიაში
4. პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი - ღვთისმეტყველებაში
5. მასწავლებელი, დეკანოზი კახაბერ შურღაია - საეკლესიო სამართალში

შესაბამისი აკადემიური პერსონალის CV-ები თან ერთვის პროგრამას

საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

| № | საგნის კოდი | სასწავლო და კვლევითი კომპონენტები | I წელი | | II წელი | | III წელი | | სულ კრედიტები |
|----------------|----------------|---|------------|-------------|--------------|-------------|------------|-------------|---------------|
| | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | |
| | | სასწავლო კომპონენტი | 30 | 30 | | | | | 60 |
| 1 | SCTTM12GA2 - L | სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები | 5 | | | | | | 5 |
| 2 | REMET12GA1-L | კვლევის მეთოდები თეოლოგიაში | | 5 | | | | | 5 |
| 3 | APGCH12GA1-L | საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები | 5 | | | | | | 5 |
| 4 | CHHRM12GA1-L | საეკლესიო ისტორიოგრაფია და კვლევის მეთოდოლოგია | 5 | | | | | | 5 |
| 5 | COMT012GA1-L | შედარებითი ღვთისმეტყველება | | 5 | | | | | 5 |
| 6 | AJMGC12GA1-L | საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების ანალიზი | | 5 | | | | | 5 |
| 7 | - | პირველი თემატური სემინარი | 15 | | | | | | 15 |
| 8 | - | მეორე თემატური სემინარი | | 15 | | | | | 15 |
| | | კვლევითი კომპონენტი | | | 30 | 30 | 30 | 30 | 120 |
| 3 | - | თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 1 | | | 15 | | | | 15 |
| | | კოლოკვიუმი -1 | | | 15 | | | | 15 |
| 4 | - | თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 2 | | | | 15 | | | 15 |
| | | კოლოკვიუმი - 2 | | | | 15 | | | 15 |
| 5 | - | თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა 3 | | | | | 15 | | 15 |
| | | კოლოკვიუმი - 3 | | | | | 15 | | 15 |
| 6 | - | დისერტაციის დასრულება, დაცვა | | | | | | 30 | 30 |
| ECTS კრედიტები | | სემესტრში | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 180 |
| | | სასწავლო წელს | 60 | | 60 | | 60 | | 180 |

სწავლის შედეგების რუკა

| № | საგნის კოდი | საგანი | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|--------------|---|-----------------------|-------------------------------------|----------------|--------------------|---------------|--------------|
| 1 | SCTTM12GA2-L | სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები | X | X | X | X | | X |
| 2 | REMET12GA1-L | კვლევის მეთოდები თეოლოგიაში | X | | X | | X | X |
| 3 | APGCH12GA1-L | საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები | X | | X | X | | X |
| 4 | CHHRM12GA1-L | საეკლესიო ისტორიოგრაფია და კვლევის მეთოდოლოგია | X | X | X | | | X |
| 5 | COMT012GA1-L | შედარებითი ღვთისმეტყველება | X | | X | | X | X |
| 6 | AJMGC12GA1-L | საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების ანალიზი | X | X | X | X | | X |
| 7 | - | პირველი თემატური სემინარი | X | X | X | X | X | X |
| 8 | - | მეორე თემატური სემინარი | X | X | X | X | X | X |

პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | საგანი | საათები | დაშვების წინაპირობა | ECTS კრედიტი/საათი | ლექცია | სესია | (ჯგუფური მუშაობა) | პრაქტიკული | შუალედური/დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|----|--------------|---|---------------------|--------------------|--------|-------|-------------------|------------|-----------------------------|-----------------------|
| 1. | SCTTM12GA2-L | სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები | არ გააჩნია | 5/135 | 3/45 | | | | 2/1 | 87 |
| 2. | REMET12GA1-L | კვლევის მეთოდები თეოლოგიაში | არ გააჩნია | 5/135 | 3/45 | | | | 2/1 | 87 |
| 3. | APGCH12GA1-L | საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები | არ გააჩნია | 5/135 | 3/45 | | | | 2/1 | 87 |
| 4. | CHHRM12GA1-L | საეკლესიო ისტორიოგრაფია და კვლევის მეთოდოლოგია | არ გააჩნია | 5/135 | 3/45 | | | | 2/1 | 87 |
| 5. | COMT012GA1-L | შედარებითი ღვთისმეტყველება | არ გააჩნია | 5/135 | 3/45 | | | | 2/1 | 87 |
| 6. | AJMGC12GA1-L | საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების ანალიზი | არ გააჩნია | 5/135 | 3/45 | | | | 2/1 | 87 |

პროგრამის ხელმძღვანელი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
ფაკულტეტის დეკანი

ეკატერინე შაკიაშვილი

ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
21.12.2015

მოდირებულია

საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
10.02.2017
ოქმი №4

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ივანე ჯაგოდნიშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური